პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 190 (10276) | პარასკევი, 12 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (I-ლი გვერდი).

ატომის ელექტროსადგურში. — საბჭოთა მეცნიერულ-ტექნიკური აზრის შესანიშნავი მიღწევა. რეაქტორი — სადგურის გული. ურანის დაყოფის ჯაჭვისებრი რეაქცია. ზრუნვა პერსონალის უშიშროებისათვის. ურანის სითბოთი გამთბარი ორთქლი... სამართავ პულტთან (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — გავაუმჯობესოთ მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა (მე-3 გვერდი).

ი. ჩხენკელი. — სარწყავი წყლის ეფექტიანი გამოყენებისათვის (მე-3 გვერდი).

საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის შესახებ (მე-3 გვერდი).

ლენინგრადიდან გაემგზავრა ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია (მე-3 გვერდი).

კიევს ჩავიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ფართოდ დავნერგოთ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება

მესამე თვეა, რაც ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში მუშაობა განაახლა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ. გამოფენა ნათლად ასახავს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებას სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დარგში. იგი ცხადჰყოფს, თუ როგორ იზრდება სოციალისტური ინდუსტრიის ბაზაზე და ამრავლებს თავის თვალსაჩინო წარმატებებს ჩვენი სოფლის მეურნეობა.

ახლა, როცა კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ხალხის ლონისძიებებს წარმართავენ სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისაკენ, მეცნიერების მიღწევებისა და საკოლმეურნეო შრომის მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი რესპუბლიკიდან მოსკოვში გამოფენაზე ყოველდღე მიემგზავრებიან მონაწილეთა და ექსკურსანტთა ჯგუფები. გამოფენა უკვე ინახულა 3.600-ზე მეტმა ექსკურსანტმა. ექსკურსანტები საფუძვლიანად სწავლობენ გამოფენის სხვადასხვა პავილიონებში წარმოდგენილ მდიდარ გამოცდილებას, ეცნობიან სიახლეს ტექნიკაში, აგრობიოლოგიურ მეცნიერებაში და ცოდნით, ახლის გრძნობით აღტურვილნი ბრუნდებიან შინ.

გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა გამოცდილების გამოყენების კარგ მაგალითს იძლევა მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის „ახალგზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობა, რომლის შესახებ ჩვენ ამას წინათ ვიუწყებოდით. ძიმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ს. მუხაშავრია მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე მოხსენებით გამოვიდა და კოლმეურნეებს გააცნო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილება. კოლმეურნეებმა იმსჯელეს, თუ როგორ მოაწყონ უკეთ მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვა, ბრიგადებსა და რგოლებში შრომის ორგანიზაცია. „გამოფენაზე მიღებული გამოცდილების მიხედვით კოლმეურნეობაში შემოღებულია ძროხების ინდივიდუალური კვება მათი პროდუქტიულობის მიხედვით. აუმჯობესებენ პირუტყვის ჯიშიანობას. კოლმეურნეობამ შეიმუშავა გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა გამოცდილების დანერგვის კონკრეტული გეგმა და წარმატებით შეუდგა მის განხორციელებას.

გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების დასანერგავად დიდი მუშაობა წარმოებს სამტრედიის რაიონის ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის, ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობებში.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილებით გვიჩვენებს მანქანების ნაყოფიერად გამოყენების უმდიდრეს რეზერვებს. ამ რეზერვების სრულად გამოყენება სოფლის მეურნეობის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სამწუხაროდ, მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილებას ზოგან ვერ იყენებენ, იშვიათი როდია მანქანების მოცდენა, დიდია დანაკარგები თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებაში. კომბაინების მოცდენისა და დანაკარგების შესახებ არის სიგნალები ქარელის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონებიდან.

გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების მეცხოველეობაში დანერგვა ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ბრძოლას საკვების საკმაო რაოდენობით დამზადებისათვის. ფაქტები მოწმობენ, რომ საკვების დამზადებაში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ არის, დიდი ჩამორჩენაა თივის დამზადებაში. 5 აგვისტოსათვის ბუნებრივი ბალახის აღების რესპუბლიკური გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებული იყო მხოლოდ 59,5 პროცენტით. მთელ რიგ რაიონებში ნელი ტემპით მიმდინარეობს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის ამბროლაურის, ახალქალაქის, ბოლნისის, ბორჯომის, გეგეჭკორის, ცხადაიას, ჩოხატაურის რაიონებსა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაზე. სიმინდის დასილოსების ვადა მოახლოვდა. ზოგან კიდევაც დაიწყეს სიმინდის ტაროსა და ღეროს ცალცალკე აღება და დასილოსება. სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის ტემპი უნდა გაორკეცდეს და გასამკეცდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დავალების ვადაზე შესრულებას საფრთხე მოელის.

ხაშურის, ახმეტის, კასპის, ჭიათურის, ჩხოროწყუს, შუახევის და გუდაუთის რაიონების კოლმეურნეობებში ცოტას როდი ლაპარაკობენ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდაზე. მაგრამ ამ პროპაგანდას მთელ რიგ შემთხვევებში ფორმალური ხასიათი აქვს. იგი დაკავშირებული არ არის ისეთი გადაუდებელი ამოცანების გადაჭრასთან, როგორიც არის პირუტყვის უზრუნველყოფა საკვებით და პროდუქტიულობის გადიდება.

მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვის ცუდად დაყენება იმით აიხსნება, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები, ცალკეული მტს-ები ამ საქმეს მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან.

ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაცია სათანადოდ დაინტერესებული არ არის აგრონომიული პროპაგანდით და ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე მუშაკთა მცირე ჯგუფს გადააკისრა. მათ ავიწყდებათ, რომ სოფლის მეურნეობისადმი ნამდვილი ხელმძღვანელობა შეუძლებელია მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და გავრცელების გარეშე.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გამოცდილების დანერგვის აქტიური ორგანიზატორები იყვნენ. ამისათვის აუცილებელია თავის რაიონში დაბრუნების შემდეგ ექსკურსანტები შეხვდნენ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, რომლებმაც ისინი გაგზავნეს, უამბონ მათ ყველაფერი, რაც გამოფენაზე ნახეს და რაც საჭიროდ მიაჩნიათ პრაქტიკულად დაინერგოს. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე დაისახოს გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენების კონკრეტული ღონისძიებანი და მოეწყოს ენერგიული ბრძოლა მათ განსახორციელებლად.

საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. სოფლის მშრომელები, აღფრთოვანებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილებით, ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ამრავლონ წარმატებანი და ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ოპერატიულად, კონკრეტულად უხელმძღვანელონ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად სოფლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილების უფრო სწრაფად გავრცელებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგში. ეს იქნება წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის გზაზე.

საკავშირო პროფსაბჭოს მესამე პლენუმი

10 აგვისტოს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, მუშაობა დაამთავრა საკავშირო პროფსაბჭოს მესამე პლენუმმა. საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ლ. ნ. სოლოვიოვის მოხსენების გამო „მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანებზე“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დადგენილებით, ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ამრავლონ წარმატებანი და ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

მიღებულ გადაწყვეტილებაში საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა მთლიანად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებანი და მიიღო ისინი სახელმძღვანელოდ და განუხრელი შესრულებისათვის.

შემდეგ განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი. სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ი. ვ. გოროშკინი საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის მოვალეობისაგან. საკავშირო პროფსაბჭოს მდივნად არჩეულია ამხ. ვ. ი. პროხოროვი. (საკდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

კომუნისტები — რაციონალიზატორები

ტყიბული. („კომუნისტის“ კორ.). შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან მეშახტე კომუნისტები. ლენინის სახელობის შახტის მოწინავე მბგრეველმა, კომუნისტმა ტ. ცირეკიძემ ლავიდან ქვანახშირის ვაგონში ჩაცლის რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენა. ამ წინადადების განხორციელება წელიწადში 20.000 მანეთის ეკონომიას იძლევა.

კარგი შედეგი გამოიღო აგრეთვე კომუნისტების ი. ორჯონიკიძისა და ა. ვარდოსანიძის რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებამ.

ტყიბულელი მეშახტეები თავდადებით შრომობენ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

პარჭიული მუშაკების სწავლება

ცხაკაია. (საკ. კორ.). ამას წინათ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებისათვის ბრძოლაში, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაზე.

მოხსენებები გააკეთეს პარტიის რაიკომის მდივნებმა ი. ურუშაძემ, ა. ძაძამიამ, ვ. კუჭავამ, რაიონული კომიტეტის განყოფილებათა გამგეებმა ა. ლაბარტყავამ, ნ. კაკაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. საბახტარიშვილმა.

საქართველოს და სომხეთის კინომუშაკთა შემოქმედებითი შეხვედრა

ამ დღეებში საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ და თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითმა სექციამ მოაწყო შემოქმედებითი შეხვედრა სომხეთის კინემატოგრაფიის მუშაკებთან.

შეხვედრა გაიმართა ხელოვნების მუშაკთა სახლში. გასინჯულ იქნა ერევნის კინოსტუდიის ახალი ფერადი მხატვრული ფილმი — „აჩრდილები სტოვებენ მწვერვალებს“ (რეჟისორები ს. კეკორკოვი და ე. კარამიანი).

გასინჯვის შემდეგ მოეწყო ფილმის განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნ. სანიშვილმა, ა. ჭეიშვილმა, კ. გოგოძემ, გ. გიგოლაშვილმა, კ. პიპინაშვილმა.

სომხეთის კინემატოგრაფიის მუშაკებიდან სიტყვით გამოვიდნენ ს. კეკორკოვი და ა. კარაპეტიანი, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ამხანაგებს საქმიანი შენიშვნებისა და გულთბილი შეხვედრისათვის.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

როგორ ვამზადებ ცვლაში 2.200 კილოგრამ მურაბას

საყოველთაოდ ცნობილი და განთქმულია გორული ხილი. გორის რაიონის ხილისა და ბოსტნეულის ბაზაზე მუშაობს ქალაქის საკონსერვო ქარხანა. გორელი მეკონსერვეები სამშობლოს ყოველწლიურად აძლევენ მაღალხარისხოვან მურაბებს, კონსერვებს, ჯემს და ხილისაგან დამზადებულ სხვა პროდუქტებს.

წელს ქარხანას გადიდებული დავალება აქვს მიცემული. ამ დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად გორელი მეკონსერვეები წინასწარვე შეუდექით მუშაობას, ხილის გადამუშავების ახალ სეზონს მომზადებული შეეხვდით.

მე საკონსერვო მრეწველობაში მუშაობის 17 წლის გამოცდილება მაქვს და ვცდილობ ეს გამოცდილება სხვებსაც გადავცე საერთო წარმატების მისაღწევად. ჩემი რჩევა-დარიგება, მუშაობის ხერხის გაცნობა ბევრ ახალგაზრდა მეკონსერვეს დაეხმარა მაღალი საწარმოო მიღწევების მოპოვებაში.

რა არის მთავარი მეკონსერვისათვის? სიბეჯითე, დაკვირვებულობა და აუჩქარებლობა. საკონსერვო წარმოების დამახასიათებელი თავისებურება სწორედ ის არის, რომ ყოველი ოპერაცია შეკასრულოთ ტექნოლოგიური პროცესის „მომწიფების“ მიხედვით. ზოგჯერ აჩქარება საქმეს ენებსო, ნათქვამია, და ეს სავსებით შეესაბამება მეკონსერვეების მუშაობას. მაგრამ თუ ტექნოლოგიურ პროცესს გავუმჯობესებთ და უზრუნველვყოფთ მზა პროდუქციის „მომწიფების“ დაჩქარებას, მაშინ დროს მოვიგებთ და ეს კარგი იქნება.

უმაღლესი ხარისხის მურაბების დამზადებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნედლეულის დახარისხებას ფერის, სიდიდისა და სიმწიფის მიხედვით. ამიტომ ჩვენ, მხარშავები, საამქროს მოსამზადებელი განყოფილებისაგან ყოველთვის მკაცრად მოვითხოვთ მოგვაწოდონ მოსახარშავად მხოლოდ სწორად დახარისხებული ნედლეული. რა თქმა უნდა, მურაბის დამზადების წესები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რის მურაბას ვაკეთებთ.

წინათ ქარხანაში ბლის მურაბას სამი ხარშვით ვამზადებდით, რისთვისაც საჭირო იყო ერთი დღეღამე. ახლა ხარშვის პროცესი ბლის მურაბის მისაღებად იმდენად გავაუმჯობესეთ, რომ სამჯერ გამოხარშვა საჭირო აღარ არის. ერთი ხარშვით ბლის მურაბას 1,20-1,30 საათის განმავლობაში ვამზადებთ. ამან საშუალება მოგვცა გაგვედიდებინა პროდუქციის გამოშვება სამუშაო ადგილის გაუფართოებლად, ამასთან შეგვემცირებინა ნედლეულის დანაკარგები და პროდუქციის თვითღირებულება. დახარისხებულ, კურკაგამოცლილ ბალს ვთუთქავთ ადუღებულ წყალში 15-20 წუთის განმავლობაში. შემდეგ რეცეპტურის მიხედვით, ისე, რომ ერთ კილოგრამ ნედლეულზე მოდიოდეს 1,2 კილოგრამი შაქარი და 200 გრამი წყალი, ვიწყებთ ხარშვას. პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ შაქრის ერთბაშად მიცემისას ბლის მარცვალში სიტყვა ცუდად შედის. ეს იწვევს ბლის მარცვლის ჭკნობას, სილამაზეს უკარგავს მას. ამიტომ მოსახარშავ ნედლეულს შაქარს ორ ნაწილად ვაძლევ, ერთ ნაწილს ხარშვის დაწყებისას და მეორეს — ხარშვიდან 15 წუთის შემდეგ; ბალს თანაბარი ხარშვა უყვარს, ყველაზე საუკეთესო ტემპერატურული რეჟიმი ბლის მურაბის ხარშვისას არის 90-100 გრადუსი სითბო.

ზინა აბრამაშვილი

• • •

ტემპერატურული რეჟიმის შერჩევა და ქვაბში ჩაყრილი სამურაბე მასის შაქრით კვება საშუალებას მაძლევს ქვაბში მეტი რაოდენობით მოვათავსო ნედლეული. ახლა ერთდროულად ვუშვებ მომსახურებას სამ ქვაბს და ცვლაში ვხარშავ 2.200 კილოგრამ მურაბას ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.400 კილოგრამისა, საგრძნობლად ვამცირებ პროდუქციის თვითღირებულებას და ამასთან ყოველთვის ვუშვებ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის მურაბას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა მოგვიწოდა მივაღწიოთ პროდუქციის გამოშვების შემდგომ გადიდებას, ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას. საქართველოს საკონსერვო მრეწველობის მუშაკები, რომლებიც ერთსულოვნად არიან ჩაბმულნი სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, თავდადებით იბრძვიან პარტიის ამ დიდი დავალების გასანალდებლად.

ზინა აბრამაშვილი,
გორის საკონსერვო ქარხნის მურაბის მხარშავი.

წველადობის წლიური გეგმა შეასრულეს

საჩხერე. (საკ. კორ.). სოფელ სავანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს სერიოზული ყურადღება ექცევა პროდუქტიული პირუტყვის მოვლა-პატრონობას. მეძროხეობის ფერმამ (გამგე პ. კომლაძე) გადაჭარბებით შეასრულა წველადობის წლიური გეგმა და მთლიანად შეინარჩუნა ნამატი. ფერმას 75 ძროხა ჰყავს და თვითეულ ძროხაზე ნაცვლად 600 ლიტრისა უკვე მიღებულია 645 ლიტრი რძე. ფერმის მუშაკთა ვალდებულებაა 1 ოქტომბრისათვის თვითეულ ძროხაზე მიიღონ 1.000 ლიტრი რძე.

ს. ლაბუჩიძე 8 ძროხას უვლის და კარგი მუშაობით თვითეულ ძროხაზე უკვე 855 ლიტრი რძე მიიღო. ძროხების მზრუნველი მოვლით გამოირჩევიან აგრეთვე თ. კომლაძე და ნ. ტაბატაძე.

კოლმეურნეობა ამთავრებს მექანიზირებული სადგომის მშენებლობას 80 ძროხისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკვები ბაზის შექმნას. მთავრდება ტრანშეების მშენებლობა 300 ტონა სილოსისათვის. განზრახულია თვითეული ძროხისათვის ჩადონ 5-6 ტონა სილოსი.

წველადობის წლიური დავალება საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე სოფელ სხვიტორის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობამ.

გარეუბნის რაიონის დიღმის საბჭოთა მეურნეობაში ვენახს 121 ჰექტარი უკავია, არის აგრეთვე 6.500 ატმის ხე. დაიწყო ატმის მასობრივი კრეფა. **სურათებზე:** 1. გ. კასუმოვა კრეფს ატამს; 2. საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ა. ხუციშვილი იღებს სინჯს ყურძნის შაქრიანობის დასადგენად.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

შეფი ეხმარება კოლმეურნეობას

გულრიფში. (საკ. კორ). სოფელ ლრანდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ენერგიულად მუშაობენ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, საგრძნობლად გაადიდეს სიმინდის ნათესი ფართობი, წარმატებით მიმდინარეობს თივის აღება.

აქ უკვე დამთავრდა ორი სასილოსე კოშკის აგება, ხოლო დასასრულს უახლოვდება მესამე კოშკის მშენებლობა.

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში კოლმეურნეობას აქტიურ დახმარებას უწევს მისი შეფი — აფხაზკურორტვაჭრობა. შეფმა კოლმეურნეობა მოამარაგა საშენი მასალებით, საწვავით, ეხმარება ტრანსპორტით.

კურორტვაჭრობა კოლმეურნეობას დროგამოშვებით უგზავნის მოძრავ სავაჭრო ფარდულს, სადაც სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები სამუშაოდან მოუცდენლად იძენენ მათთვის საჭირო სამრეწველო საქონელს.

ბრძოლა პირველობისათვის

ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი ი. კუხალაშვილი) წელს მეორე კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ქაღალდისა და ხისდამამუშავებელ საწარმოთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი მოიპოვა.

კომბინატის კოლექტივი ჩაება სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრა ვადაზე შესრულოს მიმდინარე წლის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით და მიაღწიოს იმას, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვოს პირველი ადგილი.

განამტკიცეს საკვები ბაზა

წითელწყაროს. (საკ. კორ). რაიონის მშრომელები, რომლებიც იბრძვიან პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, წელს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ თივის აღებასა და დაზვინვას.

თიბვაზე გამოყენებული იყო მტს-ების მძლავრი ტექნიკა, სრული დატვირთვით მუშაობდნენ სათიბები, თივის შემგროვებლები და დამზვინავები.

წითელწყაროელებს წელს 7.000 ჰექტარი უნდა გაეთიბათ, ფაქტიურად 9.097 ჰექტარი გათიბეს; მეცხოველეობის ფერმებთან მიტანილი და დაზვინულია 11.500 ტონა თივა.

აგიტმხატვრული ბრიგადები მწყემსებთან

ჟუთაისი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობათა პირუტყვი ჯვრის მთის საძოვრებზე იმყოფება. მწყემსები ერთგულად უვლიან საკოლმეურნეო პირუტყვს.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მწყემსების კულტურული მომსახურებისათვის ჯვრის მთის საძოვრებზე გაგზავნა აგიტმხატვრული ბრიგადა. ბრიგადამ მწყემსებთან მოაწყო ლექციები, მოხსენებები და საუბრები, უჩვენა კინოსურათები, გარდა ამისა გამართა საღამო-წარმოდგენა და გამოუშვა საველე გაზეთები.

• • •

წულუკიძე. („კომუნისტის“ კორ.). რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ შექმნა სააგიტაციო ბრიგადა, რომელშიც გაერთიანებული არიან ლექტორ-პროპაგანდისტები და დრამატული წრის წევრები. ბრიგადამ უკვე მოიარა ასხის მთის საზაფხულო საძოვრებზე მყოფი მეცხოველეობის 18 ფერმა.

სააგიტაციო ბრიგადამ კაგანოვიჩის სახელობის, ცხაკაიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობების ფერმებში მოაწყო წითელი კუთხეები და შეავსო ისინი ლიტერატურით. ლექტორმა ს. რევიამ მეცხოველეებისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე „პარტიის ღონისძიებანი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის“, ლექტორმა შ. კალანდარაშვილმა — „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება უმნიშვნელოვანესი სახალხო ამოცანაა“.

ატომის ელექტროსადგურში

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

საგჭოთა მეცნიერულ-ტექნიკური აზრის შესანიშნავი მიღწევა

საშსართულიანი შენობის შესასვლელის წინ ოქროს ვარაყით ბრწყინავს დაფაზე წარწერილი სიტყვები: „ხსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია. ატომის ელექტროსადგური“. გარეგნულად ეს შენობა ჩვეულებრივი შენობებისაგან არ განსხვავდება. მაგრამ ამავე დროს ამ კედლებს შიგნით არის განსაცვიფრებელი ტექნიკა, რომელმაც დასაწყისი მისცა ახალ ერას ენერგეტიკის განვითარებაში.

სათბობად აქ ხმარობენ არა ქვანახშირს და არა ნავთობს, არამედ ურანს. დღეღამეში სადგური, რომელიც 5.000 კილოვატი ელექტროსამძლავრით მუშაობს, 30 გრამ ურანს ხარჯავს. თბოსადგურზე ასეთი სიმძლავრის მისაღებად დღეღამეში საჭირო იქნებოდა 100 ტონამდე ქვანახშირი. ურანის ბირთვების გახლეჩის შედეგად წარმოშობილი სითბო გადაეცემა წყალს, რომელსაც შემდეგ იგი მილების სისტემის მეშვეობით ორთქლგენერატორში მიაქვს. იქედან ცხელი ორთქლი შედის ჩვეულებრივ ტურბინში და ამუშავებს მას.

...მოლევარებით შედიხარ ამ სადგურში, რომლის შექმნითაც ხორცშესხმულია საბჭოთა მეცნიერულ-ტექნიკური აზრის შემოქმედებითი ღონისძიებანი. ატომის პირველი სამრეწველო ელექტროსადგურის მშენებლობა, რაც გასული წლის ივნისში დამთავრდა, განსხორციელა ფიზიკოსთა, კონსტრუქტორთა, თბოტექნიკოსთა, ტექნოლოგთა და ბევრი სხვა სპეციალისტის დიდმა კოლექტივმა, რომელნიც შემოქმედებითი გმირობისათვის ღაფრთოვანა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ. საჭირო გახდა ახალი ამოცანების ღრმად და გაბედულად გადაწყვეტა, სერიოზულ სიძნელეთა შეუპოვრად დაძლევა. ელექტროსადგურის შექმნაში სახელმწიფომ ჩაბა სხვადასხვა ინსტიტუტები და საწარმოები, რომლებიც თავიანთ მუშაობას ფართო კოოპერაციისა და შემოქმედებითი თანამეგობრობის საფუძველზე ეწეოდნენ.

ამუშავებიდან გასული ერთი წლის განძილზე ატომის ელექტროსადგურმა ცხადყო, რომ იგი დიდად საიმედოა ექსპლოატაციაში. ამ ხნის განმავლობაში მან თხუთმეტ მილიონამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა. აქ არ ყოფილა არც ერთი რამდენადმე სერიოზული დაზიანება. მთელი მისი მოწყობილობა ზუსტად და შეუფერხებლად მუშაობს, რაც მოწმობს, თუ რაოდენ მაღალია დონე საბჭოთა ტექნიკისა და ჩვენი მეცნიერულ-ტექნიკური კადრებისა, რომელნიც წარმატებით დაეუფლნენ ატომის ენერგიას.

ატომის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა და მისი ექსპლოატაციის პირველი წარმატებანი შედეგია საბჭოთა ხალხის უდიდესი წარმატებებისა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნაში. ამავამად ეს სადგური საბჭოთა კავშირში ატომის ენერგეტიკის განვითარების მეცნიერულ ბაზას წარმოადგენს.



ატომის ელექტროსადგურში. ელექტროსადგურის საძართავი პულტი.

რეაქტორი—სადგურის გული

—ვესტიბიულიდან შევდივართ სადგურის მთავარ დარბაზში. ყურადღებას იპყრობს რეაქტორის, ანუ ატომის ქვაბის — ატომის ელექტროსადგურის გულის ხედი ნაწილი. რეაქტორი არ ჩანს. იგი სილრმეშია, საიმედოდ დაცული.

— რა პროცესი ხდება იქ? რა წარმოადგენს ენერგიის წყაროს?

სადგურის თანამშრომლები დაწვრილებით იძლევიან პასუხს ამ კითხვებზე. ენერგიის წყაროს წარმოადგენს ურანი — ვეცხლისფერი ლითონი, რომელიც თვრამეტჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე წყალი. ისევე როგორც სხვა ქიმიური ელემენტების ატომებს, მის ატომებს აქვთ ნაირსახეობანი — იზოტოპები, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი მასით. მაგალითად, ცნობილია ურანი 238 (ციფრი ნიშნავს, რომ ასეთი ატომი 238-ჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე წყალბადის ატომი). აგრეთვე ცნობილია ურანი 235 და ურანი 234. ბუნებრივი ურანი შეიცავს 99,28 პროცენტ ურან 238-ს, 0,714 პროცენტ ურან 235-ს და 0,0055 პროცენტ ურან 234-ს.

ურანის ატომის ბირთვს შესანიშნავი თვისება აქვს — გაიყოს და ამასთან გამოასხიოს ნეიტრონები, რომლებიც პროტონებთან ერთად შედის ატომის ბირთვების შემადგენლობაში. ურანის დაყოფა შეიძლება გამოწვეულ იქნას მის ბირთვში ნეიტრონის მოხვედრებით. ურანის ბირთვის დაყოფისას შექმნილი ნამსხვრევები დიდი სისწრაფით მიმოიტყორცნებიან. თავიანთ გზაზე ისინი ეჯახებიან სხვა ატომებს და აჩქარებენ მათს მოძრაობას. სწორედ ეს იწვევს ლითონური ურანის ან მისი შემცველი ნივთიერების გახურებას. ამ თვისებაზეა დამყარებული ურანის გამოყენება ატომის ენერგიის წყაროდ. ურანის ბუნებრივი იზოტოპებიდან ნეიტრონთა გავლენით დაყოფის უუნარეთა თვისებით ხასიათდება ურანი 238. ატომის ელექტროსადგურის რეაქტორში იყენებენ ხელოვნურად გაუჯუნებულ ურანს, რომელიც 5 პროცენტ ამ იზოტოპს შეიცავს.

ატომის ქვაბი ჩვეულებრივი თბოელექტროსადგურის ქვაბს არ ჰგავს. ურანი საკუთარ ადგილზე რიდი იყრება ქვანახშირის მსგავსად. მას აწყობენ უგრეთწოდებულ სამუშაო არხებში, ანუ ღეროებში. მათი დანახვა შეიძლება აქ, სადგურის მთავარ დარბაზში. ისინი დაკიდებულია კედელთან, თავიანთ ქვედა ნაწილში (170 სანტიმეტრ სიგრძეზე) ურანით დატვირთული და იმისათვის გამზადებული, რომ შეცვალონ ღეროები, რომლებიც ამჟამად ატომის ქვაბშია. აქ ნახავარ წელიწადზე მეტ ხანს საკმარისი სარეზერვო „საწვავის“ მარაგია!

ღეროებში მძლავრი ძალაა, მაგრამ იგი ჯერ არ მოქმედებს. რეაქტორში გამოყენებამდე ღეროები სრულიად უსაშიშროა, და ისინი შეიძლება ხელით აიღო. ურანმა „მოქმედება“ რომ დაიწყოს, ეს ღეროები გარკვეული რაოდენობითა და რიგით უნდა ჩაიტვირთოს ქვაბში.

ქვანახშირი თბოელექტროსადგურების საცეცხლეებში განუწყვეტლივ იტვირთება. ურანი კი რეაქტორში ეტვირთება ყოველი ასი დღის შემდეგ. მას შემდეგ, რაც ასეთი ვადა დადგება, ხდება ქვაბში ღეროების ნაწილის განახლება.

— რას წარმოადგენს რეაქტორი და როგორია მისი კონსტრუქცია?

აქ მომუშავე სპეციალისტები დაწვრილებით ახასიათებენ ატომის ქვაბის მოწყობილობას. რეაქტორი ჩაღებულია ფოლადის ცილინდრისებურ გარსაცმში, რომელიც ბეტონის ფუძეს ეყრდნობა. გარსაცმი აღსებულია გრაფიტის წყობით. მის-ცენტრალურ ნაწილში ვერტიკალური ნახვრეტებია. სწორედ ამ ნახვრეტებში იდგმება ღეროები, ანუ ეგრეთწოდებული სამუშაო არხები, რომლებიც გარეგანი შეხედულებით გრაფიტის ცილინდრებს წარმოადგენენ. მათ შიგნით არის თხელკედლიანი ფოლადის მილები, რომლებითაც წყალი მიდის. ეს წყალი შედის არხის ზემო თავიდან, რომელიც შეერთებულია შესასვლელ და შესასრულებელ კოლექტორებთან. წყალი მილით მიდის ძირს და ბრუნდება ზევით, ამასთან შემოუვლის ურანის სითბოგამომყოფი ელემენტების ზედაპირს. რეაქტორში შვიდ-შვიდი მეტრი სიგრძის 128 ასეთი არხია. რეაქტორში ურანიანი ღეროების განლაგება ისეთია, რომ მათი ერთობლიობა ქმნის ატომის ქვაბის ცილინდრულ აქტიურ ზონას, რომლის დიამეტრი 150 სანტიმეტრია და სიმაღლე 170 სანტიმეტრი. აქტიურ ზონას შემოკრული აქვს ნეიტრონების გრაფიტის ამრეკლებელი.

ურანის დაყოფის ჯაჭვისებრი რეაქცია

სადგურის მეცნიერი თანამშრომელი გვიამბობს, თუ როგორ ხდება ატომის ქვაბში „სათბობის“ ჩატვირთვა. აი ეს გრძელი ღეროები, ახლა კედელთან რომ ჰკიდია, თავის ლოზე რეაქტორის გრაფიტის წყობის ნახვრეტებში ჩაიდგმება. მაგრამ აი რა არის საინტერესო: სანამ ჩატვირთვა 60 ღეროს არ მიაღწევს, ამ რეაქტორში სითბის გამოყოფა არ ხდება.

ატომის ენერგია წარმოიშობა ურანის ბირთვების გახლეჩით — იმ პროცესით, რომელიც, ქვაბში რომ წარმოიშობა, იქ განუწყვეტლივ გრძელდება. პროცესი იწყება ამის მეოხებით, რომ ურანს თვითდაშლის თვისება აქვს. საკმარისია ამ ელემენტის ერთი ან რამდენიმე ბირთვი გახლეჩოს, რომ ამასთან გამთავისუფლებული ნეიტრონები იწყებენ ურანის სხვა ბირთვების დაყოფას. კვლავ ხდება ნეიტრონების გამოყოფა, და კვლავ ნეიტრონები ახალი ხლეჩის მიზეზი ხდებიან... ასე წარმოიშობა ურანის ბირთვების დაყოფის ჯაჭვისებრი რეაქცია.

თუ ურანი საკმაო რაოდენობით არ არის ჩატვირთული, მნიშვნელოვანი რიცხვი ნეიტრონებისა რეაქტორიდან ისე გამოიტყორცნება, რომ ვერ ხვდება მიზანს, ე. ი. ურანს. ურანის იმ რაოდენობას, რომლის დროსაც ჯაჭვისებრი რეაქცია იწყება, კრიტიკული მასა ეწოდება. ამ რეაქტორისათვის ურანის საერთო ჩატვირთვა 550-მდე კილოგრამს შეადგენს.

საკირო გავითვალისწინოთ, რომ ურანის ბირთვების დაყოფისას ნეიტრონები კოლოსალური სისწრაფით გამოიტყორცნება. ამისათვის, რომ ჯაჭვისებრი რეაქცია ხელსაყრელად მიმდინარეობდეს, საჭიროა „შევანელოთ მათი გზნება“, შევამციროთ სიჩქარე. ამ ამოცანას ასრულებენ გრაფიტი და წყალი, რომელიც რეაქტორს აცავებს.

ნეიტრონების შენელებასთან ერთად ხდება ავრეთვე მათი შთანთქმა ფოლადით, წყლით და ქვაბის სხვა მასალებით. ნეიტრონების ჩანთქმის პროცესზე ზემოქმედების გზით ვახერხებთ განვახორციელოთ რეაქტორის მუშაობის რეგულირება — გავაჩეროთ იგი, სიმძლავრე შეეცვალოთ, კვლავ ავამუშაოთ და ა. შ.

ეს ზემოქმედება ხორციელდება ბორის კარბიდისაგან გამზადებული ღეროების საშუალებით. ბორს ის თვისება აქვს, რომ ინტენსიურად ნთქამს ნეიტრონებს. ასეთ ღეროებს ორი ფუნქცია აქვთ. ერთი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას ქვაბის სიმძლავრე საჭირო დონეზე. ურანის „ამოწვის“ მიხედვით ნეიტრონების გამოტყორცნის ინტენსიობა კლებულობს. მაშინ საჭირო ხდება შეადასტოთ მათი ჩანთქმა და ამით მეტი გასაქანი მივცეთ ნეიტრონების მოქმედებას. ეს ხორციელდება სამართავი ღეროების ავტომატური აწევით. რაც უფრო მაღლა აწეულია ღეროები, მით უფრო ნაკლებ ნეიტრონებს ნთქამენ ისინი და მით უფრო დიდია ნეიტრონების ზემოქმედება ურანზე. ასე უზრუნველყოფთ წონასწორობას ატომის ქვაბს შიგნით და ჯაჭვისებრი რეაქციის ნორმალურ განვითარებას.

ღეროების მეორე ჯგუფი გათვალისწინებულია რეაქტორის სწრაფად გაჩერებისათვის, რაც შესაძლოა საჭირო გახდეს ნორმალური ტექნოლოგიური პროცესის დარღვევისას. ამ ღეროებს ეწოდებათ ავრეთვე რეაქტორის დაცვის ღეროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი მუშაობის უსაშიშროებას. საჭიროების შემთხვევაში ისინი ქვაბის აქტიურ ზონაში ჩაიდგმება.

— რად იქცევა ურანი, თავის ენერგიას რომ გასცემს?

მისი ბირთვების ნამსხვრევები ხდებიან სხვა ნივთიერებათა ბირთვებად, მათ შორის ბორის, კრიპტონის, იოდის, ქსენონის, ბარიუმის, ლანტანისა და სხვა ელემენტების ბირთვებად. ამ ნივთიერებებს მენდელეევის განთქმულ ცხრილში უკიროავთ განუწყვეტელი წყება თუთიიდან სამარიუმამდე. მათი მასა მნიშვნელოვნად ნაკლებია ურანის მასაზე. მაგრამ რეაქტორში სხვა პროცესიც ხდება — ნეიტრონების შთანთქმა ურან 238-ით. ამ შემთხვევაშიც იქმნება ახალი ელემენტები, მაგრამ მათი მასა ურანის მასაზე მეტია. ბუნებრივ პირობებში ისინი არ არსებობენ. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თვითონ შეიძლება „საწვავი“ გახდნენ ატომის ქვაბებისათვის. მათს რიცხვს ეკუთვნიან, კერძოდ, პლუტონიუმი 239 და პლუტონიუმი 241. ცნობილია აგრეთვე ურანი 233, რომელიც თორიუმიდან წარმოიქმნება. მკვლევართათვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენენ ხელოვნური გზით მიღებული ამერიციუმი, კიურიუმი და ეგრეთწოდებული ტრანსურანული ჯგუფის სხვა ელემენტები.

ზრუნვა პერსონალის უშიშროებისათვის

სადგურს რომ ეცნობი, ყოველ ნაბიჯზე ხედავ შესანიშნავი ტექნიკური აზრის გამოვლენებს, რომელიც ბუნების ობიექტური კანონების ღრმა შეცნობას ემყარება. დიდია ადამიანის ბატონობა ბუნების ძალებზე! იგი არა მარტო იღებს ატომისაგან საზოგადოებისათვის სასარგებლო ენერგიას, არამედ კიდევაც იცავს ადამიანის ორგანიზმს ამ ენერგიის მავნე ზეგავლენისაგან.

რეაქტორის მუშაობის დროს წარმოიშობა რადიაქტიური გამოსხივებანი (ნეიტრონები და გამა-სხივები), მაგრამ მათს მავნე მოქმედებას ბოჭავს საიმედო ბიოლოგიური დაცვა. რეაქტორის გარშემო ერთი მეტრი სისქის წყლის ფენა და სამი მეტრი სისქის ბეტონის კედელია. რეაქტორის ზედა ნაწილში დაცვა უზრუნველყოფილია გრაფიტის ამრეკლებლის გაძლიერებით, ზედა ფოლადის ხუფით და თუჯის სქელი ფილით.

...მაგრამ განვაგრძოთ სადგურის მთავარი დარბაზის დათვალიერება. რეაქტორის პირდაპირ მხარეს იატაკზე რამდენიმე წყებად გაჭიმული ლითონის ხუფები. ეს არის თუჯის საცობები, რომლებითაც ყრუდ დახშულია მილების შესასვლელი, სადაც წყლის ფენით გარშემორტყმული ინახება გამონაშუშეარ-ურანიანი ღეროები. რეაქტორში ყოფნის შემდეგ ღეროები დიდ რადიაქტიურობას ინარჩუნებენ. ამიტომ მათ შეცვლასთან დაკავშირებული მუშაობა მხოლოდ მაშინ სრულდება, როცა ადამიანები დარბაზიდან გადიან. აქ გვხმარობა ავტომატსატარო საშუალება. დარბაზის ზედა ნაწილში ორი ამწე ჩანს. ერთ მათგანს იმ შემთხვევაში იყენებენ, თუ საჭირო ხდება ურანიანი ღეროების შეცვლა. ამწის მართვა ხორციელდება მანძილზე — კარგად დაცული კაბინიდან. მუშაობაზე დაკვირვება კი წარმოებს ტყვიის მსგავი მინებიდან. მთავარ დარბაზში შედის რკინგზის შტო, რომლითაც სხვადასხვა მოწყობილობას ეზიდებიან...

...ახლა დარბაზში მწვანე ნათურები ანთია. ისინი სიგნალს იძლევიან, რომ აქ არ არის ადამიანისათვის საშიში რადიაქტიური გამოსხივება, რომ აქ ადამიანის ყოფნა საშიში არ არის. უშიშროებისდმი კონტროლს ახორციელებენ საინფორმაციო კამერები, რომლებიც შეუდღემლად ეხმაურებიან რადიაქტიურ გამოსხივებათა გაჩენას. თუ საშიშროება წარმოიშვა, ავტომატურად აენთება წითელი ნათურები და აწკრიალდება ზარი.

დარბაზში კარგი ვენტილაციაა. აქ მუდამ აწვდიან სუფთა ჰაერს. სამუშაო სათავსები დაკავშირებულია სავენტილაციო მილთან, რომელიც ელექტროსადგურის შენობის ახლოს დგას.

ცენტრალური დარბაზიდან გავდივართ დოზიმეტრიის ცენტრალურ ფართან. აქ ფარზე აღინიშნება ყველა სამუშაო სათავსში დადგმულ საინფორმაციო კამერათა ჩვენებანი. მეორე ფარი იძლევა ცრობებს ჰაერის დაბინძურების შესახებ. აქ ბევრი პატარა ბერკეტია, რომლებე შეესაბამება საკონტროლო სათავსებს. საკმარისია ხელი დააჭიროთ ბერკეტს—და ხელსაწყო დაფაზე ეჩვენებს ჰაერის მდგომარეობას შესაბამის ადგილას.

სადგურის მუშაკებს აქვთ ინდივიდუალური ელექტრომეტრიული დოზიმეტრები — ხელსაწყოები, რომლებიც ავტომატურ კალმისტარს მოგვაგონებენ. ამავე მიზნით იყენებენ ჯიბის პატარა ხელსაწყოებს. ამ ხელსაწყოებშია ფირი, რომელსაც ყოველ ოთხ დღეში გამოაშკარავებენ ხელმე და რომელიც წარმოდგენას იძლევა მოსხივების დოზებზე.

URANIS SITHGROTHI GAMTHGARI ORTHQLI...

ერთი სართულით დაბლა ჩავდივართ და შევდივართ დარბაზში, სადაც მოთავსებულია ორთქლგენერატორების კაბინები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს წარმოადგენენ სადგურის ტექნოლოგიურ სქემაში. მთავარი ინჟინერი დაწვრილებით გვაცნობს ამ სქემას. წყალი, რომელიც რეაქტორისაგან იღებს სითბოს, თვითონ ორთქლად არ იქცევა. წყალი მოძრაობს შეკრული სისტემით, რომელსაც პირველი კონტური ეწოდება. ეს კონტური ქმნის უეანგავი ფოლადის მილების რკალს, ეს მილები აერთებენ რეაქტორს, საცირკულაციო ტუმბოებსა და ორთქლგენერატორებს. ორთქლგენერატორებში პირველი კონტურის წყალი სითბოს გადასცემს მეორე კონტურის წყალს, რომელიც იქცევა ორთქლად; ეს ორთქლი კი ამოძრავებს ელექტროსადგურის ტურბინს.

პირველ კონტურში წყალი ცხელდება 270 გრადუსამდე. ეს შესაძლებელი ხდება მაღალი წნევის — 100 ატმოსფეროს წნევის მეოხებით. ასეთი წნევისას წყალი დუღდება მხოლოდ 309 გრადუს ტემპერატურაზე. ამიტომ, ცხელდება რა რეაქტორში 270 გრადუსამდე, პირველი კონტურის წყალი ვერ ადწევს დუღილის წერტილს. მეორე კონტურში წნევა უდრის 12,5 ატმოსფეროს. ეს წყალს საშუალებას აძლევს დაიწყოს დუღილი დაახლოებით 200 გრადუს ტემპერატურაზე. ამრიგად, პირველი კონტურის წყალი ათძლევს მეორე კონტურის წყალს დაიწყოს დუღილი და მიღებულ ორთქლს ახურებს 260 გრადუს ტემპერატურამდე. ასეთი მდგომარეობაში ორთქლი შედის ტურბინში.

სადგურში ოთხი ორთქლგენერატორია, მათ შორის ერთი სარეზერვო. ისინი მოთავსებულია ცალკე დაკეტილ კაბინებში. თვითეული მათგანი შედგება წყლის შემთბობისა, ამაორთქლებლისა და ორთქლის გადამეტხურებლისაგან.

ამ მოწყობილობათა კონსტრუქცია ასეთია: პირველი კონტურის ცხელი წყალი გაივლის მეორე კონტურის წყლით ან ორთქლით სავსე უფრო დიდი დიამეტრის მილებში. ამრიგად პირველი კონტურის სითბო გადაეცემა მეორე კონტურის წყალსა და ორთქლს. ნომინალური სიმძლავრისას რეაქტორი გამოიმუშავებს 30.000 კილოვატ თბოენერგიას.

პირველი კონტურის წყალი, გაივლის რა რეაქტორს, იძენს რადიაქტიურობას. მეორე კონტურის წყალს კი რადიაქტიურობა არა აქვს. ამიტომ ატომის სადგურის ტურბინის მომსახურება თბოელექტროსადგურების ტურბინების მომსახურებისაგან.

კიბით ჩავდივართ კიდევ ერთი სართულით დაბლა... აქ არის ტუმბოების დარბაზი. პირველი კონტურის მუშაობას უზრუნველყოფს ოთხი საცირკულაციო ტუმბო, რომელთაგან ორი სარეზერვოა. ტუმბოები განლაგებულია კაბინებში, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მუშაობის უშიშროებას. ამავე სათავსში დადგმულია დგუშიანი ტუმბოები, რომლებიც საჭიროებენ ამოსაგებ ტუმბოები, ანუ ამოსაგები ტუმბოებიც ერთ-ერთ ადგილზე ამოიტანებენ. ამ ადგილზე ამოიტანებენ. ამ ადგილზე ამოიტანებენ. ამ

პარტიული ცხოვრება

გავაუმჯობესოთ მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი

შედგა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი. მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგებისა და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთის მრეწველობამ 1955 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა 104,1 პროცენტით შეასრულა. მიმდინარე წლის გასულ 6 თვეში 1954 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება 11,8 პროცენტით გაიზარდა. ამავე პერიოდში ქ. სოხუმის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა 107,2 პროცენტით შეასრულა. მოწინავე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა— ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა, რკინიგზის სოხუმის საორთქლმავლო დეპომ, სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანამ, სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკამ, გუოიუთის ჩაის ფაბრიკამ და სხვებმა — შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ახალი ტექნიკის დანერგვისა და მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების შედეგად მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს.

პლენუმის მონაწილეებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა თუმცა მთლიანად შეასრულა სათხრობის მოპოვების წლის პირველი ნახევრის გეგმა, მაგრამ ცალკეული შახტები არარიტმულად შუაობენ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ შახტებში სრული დატვირთვით ვერ იყენებენ ახალ ტექნიკას. ქვანახშირის 4 კომბაინიდან გამოყენებულია მხოლოდ 2. სტალინის სახელობის შახტში ქვანახშირის მოპოვებამ კომბაინით წლის პირველ ნახევარში 30.502 ტონა შეადგინა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 52.820 ტონისა.

სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია პროდუქციის დაბალი ხარისხი. მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები საკმარო ყურადღებას არ აქცევენ პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლას. მაგალითად, სოხუმის ავეჯის ფაბრიკა, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

პლენუმზე მწვავედ გააკრიტიკეს პარტიის სოხუმისა და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტების მუშაობა, ისინი არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ საწარმოებისადმი და საშენებლო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას. პარტიული კომიტეტები საწარმოთა მუშაობისადმი ინტერესს მაშინ გამოიჩენენ ხოლმე, როცა აშკარა გარღვევა გამოვლინდება, და კმაყოფილდებიან მორიგი დადგენილების მიღებით, რომელსაც მალე ივიწყებენ.

პლენუმზე სიტყვით გამოსულმა პარტიის სოხუმისა და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტების მდივნებმა ხ. ახალაიამ და ჯ. სიხარულიძემ ილაპარაკეს საწარმოთა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებზე. ამხ. ჯ. სიხარულიძემ მკაცრად გააკრიტიკა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტისა და საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელობა შახტებისადმი არაოპერატიული ხელმძღვანელობისათვის, კერძოდ, სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა არასწორი დაგეგმვისათვის.

აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა ამხ. გ. ჯოხთაბერიძემ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია კრამიტის და აგურის გამოშვება, დაბალია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მან გააკრიტიკა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, რომელიც ცუდად ამარაგებს საწარმოებს დამხმარე მასალებით.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 3 შახტის გამყვანმა ამხ. ნ. ხაჭიპარაძემ პლენუმს მოუთხრო თავისი მუშაობის გამოცდილებაზე, ამასთან აღნიშნა, რომ შახტის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენებისათვის.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ზონდორეევი შეეხო სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. პლენუმზე აღინიშნა, რომ ნელი ტემპით მიმდინარეობს თიბვის, საკვების დასილოსების და თამბაქოს მოსავლის აღების სამუშაოები.

პლენუმის მონაწილეებმა მზურვალედ მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის გაერთიანებულმა პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

* * *

გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებით 3 დეკემბერს მოწვეულია სოხუმის საქალაქო პარტიული კონფერენცია, ხოლო 10 დეკემბერს — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კონფერენცია.



ცაგერი. სტალინის ჭუჭა.

ფოტო შ. გოჭაძისა.

მეტი ყურადღება კურორტ ბახმაროს

ბახმარო საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კურორტია. იგი ზღვის დონიდან 2.004 მეტრზე მდებარეობს და ასწლოვანი ნაძვნარით არის გარშემორტყმული. ბახმარო საუკეთესო შედეგს იძლევა ფილტვებით, ბრონქიალური და ლიმფატური ჯირკვლებით, პლევრიტით, ფალარიით დაავადებულთა მკურნალობაში. აქ ყოველწლიურად 25 ათასზე მეტი კაცი ისვენებს.

მაგრამ კურორტ ბახმაროს კეთილმოწყობას, ამ ბუნებრივი სიმდიდრის სრულყოფილად გამოყენებას ნაკლები ყურადღება ექცევა. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარ სამმართველოს ბახმაროში აქვს ერთი 75-საწოლიანი სანატორიუმი, რომელიც ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. სანატორიუმი მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ მომსახურებას.

კურორტზე დასასვენებელი სახლები აქვთ საქართველოს სსრ ჩაის ტრესტს, ნაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანსეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს და სხვა ორგანიზაციებს, მაგრამ ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ თავიანთი დასასვენებელი სახლების კეთილმოწყობას, ახალშენებლობათა გაჩაღებას.

ბახმაროში შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწყობა წარმოდგენები და საღამო-კონცერტები. ნაკლებად იკითხება ლექციათ-მოხსენებები. ერთადერთი კლუბის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. რამდენიმე წლის წინათ განიზრახეს კინოთეატრისათვის შენობის აგება, მაგრამ მისი მშენებლობა დღემდე არ დაუწყიათ.

ნაკლოვანებებია აგრეთვე კურორტზე სოსუფთავის დაცვის და სასუსხათო პროდუქტებით მომარაგების დარგშიც. ჩოხატაურის რაიკოოპკავშირს გასულ წელს აქ უნდა აეგო სავაჭრო მაღაზიის ახალი შენობა, მაგრამ ეს საქმეც მოუგვარებელია, დღემდე აუთვისებელია ამ მიზნისათვის განკუთვნილი 200.000 მანეთი. 1949 წელს დაიწყეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რაზეც 280.000 მანეთი დაიხარჯა. უკვე ხუთი წელი გავიდა, მაგრამ მშენებლობის დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარმა სამმართველომ, პარტიის ჩოხატაურის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ბახმაროს კეთილმოწყობას და დასვენებელთა კულტურული მომსახურების საქმეს.

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე

თბილისში დიდი ხანია წარმოებს მტკვრის მარცხენა სანაპირო ჭუჭის მშენებლობა. ქალაქის ეს ახალი მაგისტრალი 4 კილომეტრზეა გადაჭიმული. იგი იწყება ჩელიუსკინელების ხიდიდან და მთავრდება მეტეხის ხიდთან. წელს განზრახულია გაიხსნას ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობა ჩელიუსკინელთა ხიდიდან სტალინის სახელობის ხიდამდე. წელსვე უნდა დამთავრდეს სანაპიროს მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოები კ. მარქსის ხიდამდე.

ამჟამად მიმდინარეობს სანაპიროს მოასფალტება, ტროტუარების გამოყოფა, გამწვანების სამუშაოები და ა. შ.

ახალ მაგისტრალს დაამშვენებს მრავალი დიდი საცხოვრებელი სახლი. ერთ-ერთ მათგანს აშენებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო სანაპიროს და ტექნიკური ჭუჭების კუთხეში, მეორეს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო. სახლებს აშენებენ აგრეთვე მთელი რიგი სხვა უწყებები, საწარმოები და დაწესებულებები.

ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალის აგების შედეგად მტკვრის დონემ აიწია. მდინარის ფარვატერი წყლით ივსება. ამასთან დაკავშირებით დიდი პერსპექტივებია დასახული ქალაქის ფარგლებში მდინარის ეფექტიანი გამოყენების დარგში.

სანაპიროს მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობს მტკვარზე არსებული ძველი ხიდების რეკონსტრუქცია. ამ უკანასკნელ წლებში თბილისს შეემატა ოთხი ახალი მონუმენტური ხიდი. ერთი მათგანი, რომელიც აშენდა ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალთან და აკავშირებს კიროვისა და „26 კომისრის“ რაიონებს, სულ ცოტა ხნის წინათ გაიხსნა.

განიერი, ახალი სანაპირო კიდევ უფრო დაამშვენებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს.

საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის [illegible]

დიპლომატიური არხების საშუალებით წარმოებული კონსულტაციების შედეგად საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, გათვალისწინებული დირექტივით, რომელიც მთავრობათა მეთაურებმა მიიღეს 23 ივლისს, მოწვეული იქნება ჟენევაში ხუთშაბათს 1955 წლის 27 ოქტომბერს. ისინი აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მომსახურება გაუწიოს ოთხი სახელმწიფოს გაერთიანებულმა სამდივნომ.

ლენინგრადიდან გაემგზავრა იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია

ლენინგრადი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს ლენინგრადიდან კიევს გაფრინდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია.

ლენინგრადის აეროპორტში, რომელიც მორთული იყო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, სტუმრები გააცილეს ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. სმირნოვმა, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეებმა ა. ა. კუზნეცოვმა, მ. ა. ბალაშოვმა, ლ. პ. ჩერნიავსკაიამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. ი. პოპოვმა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანმა ი. ა. პუჩკოვმა, ქალაქის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ნ. ზ. სუხორებროვმა, საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა, საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

ნ. ი. სმირნოვმა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშინის დეპუტატებს უსურვა ზედნიერი მგზავრობა საბჭოთა ქვეყანაში და სთხოვა გადასცენ ლენინგრადელთა მეგობრული სალამი იუგოსლავ ხალხს.

იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურმა ვლადიმერ ბაკარიჩმა ლენინგრადის მშრომელებს დიდი მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციას თან ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. მ. საფრონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, აგრეთვე სსრ კავშირში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დ. ვიდიჩი და საელჩოს მრჩეველი ფ. ბაბიჩი.

კიევს ჩავიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია

კიევი, 10 აგვისტო. (საკდესი). იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც განაგრძობს სსრ კავშირში მოგზაურობას, დღეს უკრაინის დედაქალაქში ჩამოვიდა. კიეველებმა, ისევე როგორც მოსკოველებმა და ლენინგრადელებმა, დიდი გულითადობით მიიღეს სტუმრები.

იუგოსლავი ხალხის წარმომადგენელთა შესახვედრად კიევის აეროპორტში შეიკრიბა საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ბევრი წარმომადგენელი. შეხვედრთა შორის იყვნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე პ. გ. ტიჩინა, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. კოვპაკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ნ. ზლენკო, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ს. ვ. ჩერვონენკო, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე ა. პ. სიდორენკო, უკრაინის სსრ მინისტრები, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების დეპუტატები, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა ჟურნალისტები.

აეროდრომი ვეებერთელა ყვავილნარს დამსგავსებია. აქ მოსულთ ხელში აქვთ იმდენი ყვავილი, რომ ჰაერიც კი სავსეა ყვავილის სურნელებით. შეკრებილნი მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ იუგოსლავი ხალხის წარმომადგენლებს. სტუმრებს გარს არტყიან პიონერები, რომელთაც ხელში თაიგულები უკავიათ. იუგოსლავი სტუმრები ეხვევიან და მადლობას უხდიან მათ. პიონერი თამარ ტიმოშკო (84-ე სკოლა) სთხოვს დელეგაციის მეთაურს სალამი გადასცეს იუგოსლავიის პიონერებს. უკრაინულ ენაზე წარმოთქმულ სიტყვაში სერბული სიტყვები ურევია. სიხარულით აღსავსე სახეები და მეგობრული გრძნობა, რომლებითაც კიეველები სტუმრებს შეხვდნენ, დიდად ახარებს იუგოსლავ ამხანაგებს.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს და მთელი უკრაინელი ხალხის სახელით იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშინის დეპუტატებს გულითადად მიესალმა პ. გ. ტიჩინა. მან თქვა:

— ეჭვი არ გვეპარება, რომ უკრაინაში თქვენი ჩამოსვლა და უკრაინის სსრ უმაღლეს საბჭოსა და იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშინის შორის უშუალო კონტაქტის დამყარება ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების დიად საქმეს, და ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო გაძლიერდება მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ვლადიმერ ბაკარიჩმა. მან მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის, რომელიც დელეგაციას კიევში მოუწყეს.

დელეგაციამ ამავე დღეს გაუკეთა ვიზიტი უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დ. ს. კოროტჩენკოს. საუბრის დროს დ. ს. კოროტჩენკომ ილაპარაკა რესპუბლიკაში ომისშემდგომი წლების მანძილზე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ზრდაზე, კულტურის განვითარებაზე. დ. ს. კოროტჩენკო სთხოვს დელეგაციის წევრებს გადასცენ სალამი ამხანაგ ტიტოს, რომელსაც იგი პირადად იცნობს. იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშინის დეპუტატები იძლევიან კითხვებს, მათ აინტერესებთ, თუ როგორ ვითარდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, ლაპარაკობენ მეგობრობაზე, რომელიც იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს ძველთაგანვე აკავშირებს, გამოთქვამენ რწმენას, რომ მომავალში დელეგაციების გაცვლა კიდევ უფრო გაფართოვდება. გულითადი საუბრის დროს სტუმრები იხსენებენ ომის წლებს, როცა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მეომრები გმირობას იჩენდნენ და ანადგურებდნენ საერთო მტერს.

დასასრულ დ. ს. კოროტჩენკო სთხოვს დელეგაციას უკრაინელი ხალხის ძმური სალამი გადასცეს იუგოსლავიის ხალხებს, საკავშირო სახალხო სკუპშინის დეპუტატებს. შემდეგ სტუმრებმა კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის გ. ი. არკადიევის თანხლებით დაათვალიერეს ქალაქი.

მოსკოვს ჩამოვიდა ალბანეთის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია

10 აგვისტოს მოსკოვში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია სოფლის მეურნეობის მინისტრის მატიო ჩომოს მეთაურობით.

სტუმრებს კიევის ვაგზალზე შეხვდნენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ა. ნ. ასკოჩენსკი, სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მ. პრიფტი.

დელეგაციის წევრები გაეცნობიან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გამოცდილებას, საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს. (საკდესი).

გრინვიჩის პროფკავშირთა დელეგაცია სოჭში

სოჭი, 10 აგვისტო. (საკდესი). სოჭში ორ დღეს იყო გრინვიჩის (ინგლისი) პროფკავშირთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა გორკის ოლქის პროფკავშირთა საბჭოს მოწვევით.

დელეგაციის წევრები გაეცნენ მშრომელთა დასვენებას, დაათვალიერეს გემთმშენებელი მრეწველობის მუშაკთა და მეშახტეთა სანატორიუმები, მოაწყეს ექსკურსია ქალაქში, იყვნენ კურორტის პარკ „რივიერაში“, ისეირნეს გლისერით შავ ზღვაზე.

ინგლისელი სტუმრები დღეს მოსკოვს გაფრინდნენ.

კონსულტაცია

საჩნყავი წყლის ეფექტიანი გამოყენებისათვის

საქართველოს სს რესპუბლიკაში მიმდინარეობს დიდი საირიგაციო მშენებლობა. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა რწყვა ძარტო საირიგაციო მშენებლობათა მასშტაბებზე როდია დამოკიდებული. ამასთან საჭიროა სარწყავი წყლის ეფექტიანი გამოყენება.

ახლოვდება საშემოდგომო თესვის ვადები. საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ მოსამზადებელი მუშაობა, სრულ წესრიგში მოვიყვანოთ სარწყავი ქსელი.

საშემოდგომო ხორბლის თესვა და თესვისთანავე მორწყვა — ორი განუყოფელი ღონისძიება იყო და უნდა დარჩეს აღმოსავლეთ საქართველოს პიროვნებში. საშემოდგომო ხორბლის თესვისთანავე მორწყვა უზრუნველყოფს ნათესების დროულ, თანაბარ აღმოცენებას და მცენარეთა ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ასეთ ნათესებს ნაკლებად აზიანებს ზამთრის ჩვეულებრივი ძლიერი ყინვა.

ცნობილია აგრეთვე საშემოდგომო ხორბლის გაზაფხულზე ერთხელ ან ორჯერ (ბუნებრივი პირობების მიხედვით) მორწყვის საჭიროება.

სამწუხაროდ, რწყვას, მოსავლიანობის გადიდების ამ მძლავრ რეზერვს, მთელ რიგ რაიონებში სათანადოდ არ იყენებენ. ეს ითქმის შიდა ქართლის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობათა შესახებ.

ამასთან ერთად არის ისეთი რაიონები, სადაც კარგად არის დაყენებული სარწყავი სისტემის მოვლა და მისი ექსპლოატაცია. მარნეულის რაიონში სერიოზული ყურადღება ექცევა რწყვის საქმეს, რის შედეგად აქ მაღალია საშემოდგომო ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობა.

ასპინძისა და ადიგენის რაიონებში, მათი რთული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, მოსახლეობა მაქსიმალურად იყენებს სარწყავ წყალს.

ჩვენი ამოცანაა ყველა საშუალება გამოვიყენოთ საშემოდგომო ნათესების რწყვის საქმეში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. რწყვა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს თბილი და გვალვიანი ზამთრის შემდეგ თაგვების წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ ეს ღონისძიება მხოლოდ მაშინ მოგვცემს სათანადო ეფექტს, როდესაც ეს ერთდროულად საკმაოდ დიდ მასივზე ჩატარდება.

რწყვის ხარისხიანად ჩატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს სარწყავ ფართობზე დროებითი სარწყავი ქსელის მომზადება, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ დაკვალვას. ასეთი ქსელის მომზადება, როგორც წესი, თესვისთანავე უნდა წარმოებდეს.

გასულ წელს ზოგან (გორის რაიონში ტირიფონის არხის გაყოლებით, სამგორის ველზე) ახალ სარწყავ ფართობებზე დროებითი სარწყავი ქსელი ისეთი სიხშირით და მიმართულებით იქნა გაყვანილი, რომ არსებული ძლიერი ქანობის პირობებში იგი ვერ უზრუნველყოფს რწყვის ხარისხიანად მოწყობას, აუცილებლად შეუწყობს ხელს ეროზიული პროცესების წარმოშობას — გადარეცხვასა და დახრამვას.

საჭიროა ახლად გაყვანილი დროებითი ქსელის შესწორება, ხოლო სადაც ასეთი სრულიად არ არის, მისი დაუყოვნებლივ მოწყობა რწყვის ახალი სისტემის საფუძველზე. ამ საქმის ერთ-ერთი წამყვანი შემსრულებელი უნდა იყოს გამოცდილი მრწყველი, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში ყველაზე კარგად იცნობს ადგილობრივ პირობებს.

დღემდე შედარებით ნაკლებად არის გამოყენებული ეგრეთწოდებული ქსელის განლაგების განივი სქემა, რომელიც გათვალისწინებულია ძლიერი ქანობის პირობებისათვის.

საქართველოში ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძლიერ ქანობებთან, სადაც ძირითადად ზემოაღნიშნული განივი სქემა უნდა იყოს გამოყენებული.

უნდა აიკრძალოს მცირეოდენი წვიმის მოსვლის შემთხვევაში მორიგი მორწყვის შეჩერება და, მით უმეტეს, მისი მთლიანად ამოღება გეგმიდან.

საშემოდგომო ხორბლის მორწყვის ტექნიკის ხარისხიანად განხორციელება ზოგან (სამგორი, ალაზნის ველი) განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ადგილობრივი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების დახმარება.

მაქსიმალურად უნდა გავაუმჯობესოთ აგრეთვე სიმინდის — ამ ძვირფასი მარცვლეული და სასილოსე კულტურის მორწყვის წესი.

საორიენტაციოდ გათვალისწინებული უნდა იყოს თესვისთანავე მორწყვის გარდა 3-4 მორწყვა, აქედან ერთი მორწყვა ყვავილობის წინა პერიოდში (ივნისის შუა რიცხვებში), ერთიც ყვავილობის დროს და ერთი ან ორი მორწყვა ყვავილობის შემდეგ, უკანასკნელი მორწყვის დაახლოებით 15-20 აგვისტოსათვის დამთავრებით.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში მრწყველის სამუშაოს არ აფასებენ. მრწყველს მუშაობის ნორმალურ პირობას არ უქმნიან. ხშირად ესა თუ ის სარწყავი უბანი უპატრონოდ არის მიტოვებული.

არის შემთხვევები, როდესაც მრწყველებად გამოყოფენ რწყვაში გამოუცდელ ან ფიზიკურად ამ სამუშაოსათვის შეუფერებელ ადამიანებს.

ყველაფერი ეს ხელს უწყობს რწყვის უხარისხოდ ჩატარებას, მისი ეფექტიანობის დაცემას, ნიადაგის თვისებების გაუარესებას.

მრწყველები ხშირად მომარაგებული არ არიან ისეთი მარტივი ხელსაწყოთი, როგორიც არის ხელით საზიდი ფარი, რომელიც ბევრად ამცირებს წყლის ჩაკეტვა-გადაშვებისათვის საჭირო დროს და სარწყავ ქსელსაც ნაკლებ აზიანებს.

მრწყველების საერთო ხელმძღვანელობა და მათი მუშაობისათვის პასუხისმგებლობა აგროპერსონალს უნდა დაეკისროს. ამ საკითხთან ერთად უნდა მოწესრიგდეს ღამის საათებში რწყვის წარმოების საკითხიც.

არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ როგორც ახალი სარწყავი ქსელის მშენებლობა, ისე უკვე არსებული დაგროვილ ნაკლოვანებათა გათვალისწინებულია დღეღამის განმავლობაში რწყვის წარმოების ანგარიშით.

ღამით რწყვა აუცილებელია და მისი გამოუყენებლობა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმისა, რომ რწყვის გაძლიერებული მოთხოვნილების პერიოდში სარწყავი წყალი არ გვყოფნის. რწყვის ხარისხიანად ჩატარებისათვის საჭირო იქნება ღამის საათებში თვითეულ მრწყველს გამოეყოს დამხმარე მუშა.

ჩვენს წინაშე დასახულია მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება, ე. წ. სარწყავი ფართობების მოსწორება (მოშანდაკება), რომლის განხორციელება მორწყვის ახალი სისტემის დანერგვასთან ერთად იყო გათვალისწინებული.

ჩვენი მტს-ები საამისოდ შედარებით უკეთ არიან მომარაგებულნი. ამიტომ საჭიროა მოსავლის აღებისთანავე უსწორმასწორო ფართობების დაუყოვნებლივ მოხვნა და მათი მოსწორება. მოსწორების ერთ-ერთ ძირითად სახედ უნდა ჩაითვალოს რწყვის მიმართულების გარდიგარდმო მოხვნა. ამ ღონისძიების გამოუყენებლობის გამო ჩვენს სარწყავ ფართობებზე მეტად რთული მიკრორელიეფი შეიქმნა (გორის, კასპის რაიონები და სხვ.), ხოლო ასეთი რთული მიკრორელიეფის მქონე ფართობი რწყვისათვის მძიმე ობიექტს წარმოადგენს.

არ უნდა დავუშვათ გასული წლის შეცდომები. გვალვის შემთხვევაში, თუ ის ხელს შეუშლის ნორმალურ ხვნას, უნდა გამოვიყენოთ მოსახნავი ფართობის წინასწარ მორწყვა.

ნოხვნისათვის წარმოებული რწყვა სრულებით არ გამოთიშავს საშემოდგომო თესვისთანავე საჭირო რწყვას.

ნათესების დროულად და წესიერად მორწყვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

პროფესორი ი. ჩხენკელი,

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მელიორაციის კათედრის გამგე.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენცია

ჟენევა, 10 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის დღევანდელმა დილის სხდომამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი, განიხილა მოხსენებანი, მიძღვნილი თემისადმი: „ატომგულის ენერგიის როლი უახლოეს 50 წელიწადში“.

სხდომამ პირველი მოისმინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ძოხსენება ატომგულის ენერგიის ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის.

შემდეგ მოხსენება გააკეთა კანადის დელეგატმა ჯ. დევისმა, რომელმაც შეაფასა კანადაში ატომგულის ენერგიის როლი ეკონომიური თვალსაზრისით.

საფრანგეთის ატომის ენერგიის კომიტეტის წევრმა პ. აიერემ კონფერენციის წარუდგინა მოხსენება საფრანგეთში ელექტროენერგიის წარმოების განვითარების შესახებ.

ინგლისელმა მეცნიერმა ჯ. კეიმ თავის მოხსენებაში ერთმანეთს შეადარა ელექტროენერგიის წარმოება ატომის ენერგიის საშუალებით და მისი ჩვეულებრივი მეთოდებით წარმოება მათი ეკონომიურობის თვალსაზრისით.

ბრაზილიის დელეგატმა დე მატოსმა ილაპარაკა ატომის ენერგიის მნიშვნელობაზე ბრაზილიის ეკონომიკისათვის.

ინგლისელმა მეცნიერმა ჯ. კოკროფტმა თავის მოხსენებაში ჩამოაყალიბა ინგლისის მთავრობის პროგრამა ატომის ენერგიის განვითარების დარგში.

არგენტინის დელეგატმა ირაოლაგოიტიამ თავის მოხსენებაში ცხადყო ატომის ენერგიის როლი არგენტინის ენერგეტიკული მეურნეობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა კ. მეიერმა თავის მოხსენებაში გააკეთა მიმოხილვა ეკონომიური კვლევისა, რომელიც დაკავშირებულია ატომგულის ენერგიის გამოყენებასთან ატომის ელექტროსადგურთა მშენებლობისათვის.

ჟენევა, 10 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის დღის სხდომამ განიხილა საკითხი: „ატომგულის ენერგია და ჰიდროენერგია და უშიშროების პრობლემები“.

ატომის კვლევის დარგში, აგრეთვე ატომის მრეწველობაში მომუშავე პირთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხს მიეძღვნა ინგლისელი მეცნიერის ჯ. ლოუტიტის მოხსენება და ამერიკელ მეცნიერთა მოხსენება, რომელიც წარადგინა ჰასტერლიმა.

საბჭოთა მეცნიერებმა ამ საკითხის განხილვისას კონფერენციას წარუდგინეს ა. კ. გუსკოვას, გ. დ. ბაისაგოლოვისა და ა. ვ. ლებედინსკის მოხსენებანი.

რეაქტორებზე მუშაობასთან დაკავშირებულ პირთა უშიშრობის უზრუნველყოფის საკითხს მიეძღვნა ამერიკელ მეცნიერთა მოხსენებანი, რომლებიც წარადგინეს მაკალოხმა და დიტრიხმა, აგრეთვე ინგლისელ მეცნიერთა მოხსენება, რომელიც კონფერენციაზე გააკეთა ვ. გ. მარლომ.

დღეს კონფერენციაზე მუშაობა დაიწყო ზოგიერთმა სექციამ. სხდომა ჰქონდათ ატომის ფიზიკის საკითხთა და ქიმიისა და ტექნოლოგიის საკითხთა სექციებს.

ლენინის პრესა ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საერთაშორისო კონფერენციის შესახებ

კოპენჰაგენი, 10 აგვისტო. (საკუთარი). გაზეთმა „ბერლინგსკე აფტენავისმა“ მთელ პირველ გვერდზე სათაურით „საბჭოთა რუსეთმა გამოაქვეყნა თავისი მუშაობის შედეგები ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში“ მოათავსა თავისი ეერველი თანამშრომლის ბორბერგის კორესპონდენცია. კორესპონდენციის მეტი ნაწილი მიძღვნილია საბჭოთა მეცნიერების დ. ი. ბლოხინცევისა და ნ. ა. ნიკოლაევის მოხსენებათა შინაარსისადმი. როგორც ბორბერგი წერს, ახლა არავინ არ უარყოფს, რომ საბჭოთა კავშირი პირველი ქვეყანაა, რომელმაც საექსპლოატაციოდ გადასცა ატომის ენერგიით მომუშავე ელექტროსადგური. იგი აღნიშნავს, რომ ამ საადგურის ექსპლოატაციით მიღებულ გამოცდილებას საბჭოთა მეცნიერები იყენებენ დიდი სიმძლავრის ატომის ელექტროსადგურების ასაგებად. „არის სერიოზული საფუძველი ვიფიქროთ, — წერს იგი, — რომ ატომის ხანა საბჭოთა კავშირში ძალიან მალე დადგება“.

შემდეგ ბორბერგი აღწერს ატომის ენერგიით მომუშავე სხვადასხვა აპარატსა და ხელსაწყოს, რომელსაც საბჭოთა მეცნიერები უჩვენებენ კონფერენციაზე. დასავლეთის ექსპერტები, განაგრძობს ბორბერგი, გამოთქვამენ „აღტაცებას ტექნიკური გონებამახვილობითა და ხელოვნებით, რითაც რუსებმა გადაჭრეს დასახული ამოცანების ნაწილი“.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საერთაშორისო კონფერენციის მუშაობის აღწერას მიუძღვნა დღეს დიდი სტატიები კოპენჰაგენის ყველა სხვა გაზეთმა.

„ნიუ-იორკ ჯაიმსი“ ჟენევის საერთაშორისო კონფერენციის შესახებ

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საკუთარი). კომენტარს უკეთებს რა ჟენევის საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის მუშაობას, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს: „როგორც ყველა მოელოდა, უურადღებას იპყრობს, უმთავრესად, ის როლი, რომელსაც რუსები ასრულებენ ჟენევაში. მათი საქციელი სავსებით შეესაბამება კონფერენციის სულისკვეთებას, ისინი დაწვრილებით აღწერენ თავიანთი 5 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგურის მოწყობილობას, რომელიც წარმატებით აწარმოებს ელექტროენერგიას წელიწადზე მეტი ხანია და ატომის პირველი ელექტროსადგურია მთელ ისტორიაში. მათი გამოფენა ერების სასახლეში ექსპონატების სიუხვით არ ჩამორჩება შეერთებული შტატებისა და ინგლისის გამოფენებს“.

ამერიკის საზოგადოებრიობა მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაფართოებას

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. (საკუთარი). მინეაპოლისის გაზეთ „ტრიბუნის“ კორესპონდენტი ნებელი ვაშინგტონიდან გამოგზავნილ ცნობაში აღნიშნავს, რომ ამერიკის ორგანიზაციები მრავალ თხოვნას უგზავნიან სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ მან დართოს საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ფართო კულტურული გაცვლის ნება. იმიზეზებს რა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებას, კორესპონდენტი წერს, რომ მიღებამ, რაც აღმოუჩინეს საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციას, რომელიც ახლა მოგზაურობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, „აიძულა სხვა ორგანიზაციები მოეთხოვათ, რომ მოეწყოს სხვა საბჭოთა მოღვაწეების მოგზაურობაც“. წამოყენებულია წინადადება, რომ მოეწყოს სიმფონიური ორკესტრების გასტროლების გაცვლა, გაიგზავნოს სსრ კავშირში ამერიკის ოპერა. ადრე იუწყებოდნენ, რომ ცალკეული საბჭოთა მუსიკოსი-შემსრულებლები მიწვეული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სახლების მშენებლობის ასოციაციამ, იუწყება კორესპონდენტი, სთხოვა სახელმწიფო დეპარტამენტს მოაწყოს რუსეთში თანამედროვე ამერიკული სახლების გამოფენა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — თანამედროვე რუსული არქიტექტურის გამოფენა.

ხელოვნების ეროვნული ფონდის თავმჯდომარე კარლტონ სმიტი, აღნიშნავს კორესპონდენტი, აპირებს მოლაპარაკება აწარმოოს ფართო კულტურული გაცვლის შესახებ რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

კორესპონდენტს მოჰყავს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადება, რომ ამ ბოლო დროს მიღებულია მრავალი წინადადება საბჭოთა კავშირთან დელეგაციების გაცვლის შესახებ.

„რომინია ლიბერა“ რუმინეთისა და იუგოსლავიის უთიერთობის გაფართოების შესახებ

ბუქარესტი, 10 აგვისტო. (საკუთარი). გაზეთი „რომინია ლიბერა“ დღევანდელ ნომერში, მოჰყავს რა მონაცემები იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის განვითარების შესახებ, წერს, რომ რუმინელი ხალხი, რომელსაც გულწრფელად სურს თანამშრომლობა ყველა ხალხთა მშვიდობის უზრუნველყოფისა და მეგობრული ურთიერთობის მიზნით, განსაკუთრებული სიხარულით მიესალმება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ბელგრადის მოლაპარაკების შედეგებს.

ძველთაგანვე, აღნიშნავს გაზეთი, იუგოსლავიისა და რუმინეთის ხალხებს შორის არსებობდა მჭიდრო ურთიერთობა, რაც წლითიწლობით ვითარდებოდა და მტკიცდებოდა. უკანასკნელი დროის მოვლენები მოწმობენ, რომ ორივე ხალხს სურს თანამშრომლობა. ჩვენს ქვეყნებს შორის დადებულია მთელი რიგი შეთანხმებანი, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შეთანხმება ვაჭრობისა და გადასახდელების შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მიმდინარე წლის 24 მარტს. ეს შეთანხმება ითვალისწინებს 6 მილიონ დოლარზე მეტი თანხის საქონლის გაცვლას ორივე მხრივ.

დღემდე მიღებული ღონისძიებანი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და იუგოსლავიის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ხაზით, წერს დასასრულ გაზეთი „რომინია ლიბერა“, წარმოადგენს მრავლისაღმთქმელ დასაწყისს, რაც საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ხალხების სურვილი ითანამშრომლონ ერთმანეთთან — დაკმაყოფილდება.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალზე

ვარშავა, 10 აგვისტო. (საკუთარი). დღეს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალზე გაიმართა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა. ვარშავის ლაზენკის პარკში შეიკრიბნენ ხუთი დიდი სახელმწიფოს — საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს მოწოდება საფრანგეთის, ინგლისის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

ჩვენ, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ახალგაზრდა წარმომადგენლები, რომლებიც ვარშავაში შევიკრიბეთ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, ერთგულებით მივესალმებთ და ვიწონებთ ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგებს. ჟენევის მოლაპარაკება დადებითი ფაქტორია და უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. იგი ხელს უწყობს კეთილმეზობლური მიზნის მიღწევას — მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფას. ჩვენ ვითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობის მეგობრობასა და თანამშრომლობას ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

დარწმუნებული ვართ, რომ მიუხედავად ჩვენი აზრებისა და ცხოვრების წესის განსხვავებისა, ბევრ რამეში შეგვიძლია გამოვნახოთ საერთო ენა. ეს არის, ჯერ ერთი, ჩვენი დიდი ხალხების, ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობის საერთო სურვილი იცხოვრონ მშვიდობით, თანხმობითა და ბედნიერად. ამ დიადი მიზნის მისაღწევად მოგიწოდებთ თქვენ, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ქალიშვილებსა და ჰაბუკებს, დაარწმუნოთ თქვენი მთავრობები განაგრძონ მეცადინეობა, რომლის მიზანია შეინარჩუნების მიღწევა შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვის, ჩვენი ხალხების კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის, მშვიდობიან ნაციონალურ ეკონომიკებზე გადასვლის, ყველა საკამათო საკითხის მოგვარების, ეროვნული ანგარიშებისა და ტერიტორიების ურთიერთგანმეორებითი პატივისცემის, ერთმანეთისადმი ურთიერთდახმარების, ეროვნული ეკონომიკების ინტენსიური ზრდისა და ეროვნული კულტურების ინტენსიური ზრდის, ეროვნული ეკონომიკების ინტენსიური ზრდის, ეროვნული ეკონომიკების ინტენსიური ზრდის, ეროვნული ეკონომიკ